კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის განათლების სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**განათლების ლიდერობა და მენეჯმენტი**
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	**Education Leadership and Management**
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	**მაგისტრატურა**
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	**აკადემიური**
სწავლების ენა	**ქართული**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კოდი	0413
ქართულად:	**განათლების მენეჯმენტის მაგისტრი**
ინგლისურად:	**Master of Education Management**
პროგრამის დამტკიცების თარიღი	დამტკიცებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2024 წლის 2 აგვისტოს ბრძანებით #01/01-51.
პროგრამის განახლების თარიღი	-
პროგრამის ხელმძღვანელიდა თანახელმძღვანელი	**ალუდა გოგლიჩიძე** - კავკასიის უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი (ხელმძღვანელი) **გიორგი მაჩაბელი** - კავკასიის უნივერსიტეტის აფილირებული ასისტენტ-პროფესორი (თანახელმძღვანელი)

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

განათლების ლიდერობა და მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს ერთი მხრივ კომპლექსურ, მეორე მხრივ კი კურსების მოქნილ სტრუქტურას. ამ მეთოდით მიიღწევა ორი: ა) პროგრამის და ბ) სტუდენტის პრიორიტეტების მიღწევის ოპტიმალური გზის შემუშავება.

განათლების მენეჯმენტის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, სტუდენტმა უნდა დააგროვოს 120 ECTS კრედიტი, რომელიც განაწილებულია 4 სემესტრზე და ყოველი სემესტრი მოიცავს 30 ECTS კრედიტს. შესაბამისად, **განათლების ლიდერობა და მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის** სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 2 აკადემიურ წელს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. ერთი სემესტრი მოიცავს 20 სასწავლო კვირას, შესაბამისად, სასწავლო წელი დაგეგმილია 40 კვირაზე. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და საბოლოო შეფასებისათვის, აგრეთვე საშინაო დავალების მომზადებისა და პრეზენტაციისათვის განკუთვნილ საათებს).

პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება ეძლევათ 2 კონცენტრაციიდან ერთ-ერთის არჩევის: 1) სკოლამდელი და ზოგადი განათლების ან 2) პროფესიული და უმაღლესი განათლების მიმართულების. ორივე კონცენტრაციის შემთხვევაში სპეციალიზაციას მიკუთვნებული კრედიტების რაოდენობა შეადგენს 54%-ს, 65 კრედიტს, რომელშიც შედის კონცენტრაციის მიხედვით გასავლელი არჩევითი-სავალდებულო კურსების (35 კრედიტი) ბლოკის საგნები და სამაგისტრო ნაშრომი (30 კრედიტი), საიდანაც სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის თემატიკას ირჩევს შესაბამისი კონცენტრაციიდან.

არჩევითი სავალდებულო ბლოკების (35 კრდიტი) საგნების არჩევა სტუდენტს დაეხმარება არჩეული კონცენტრაციის მიხედვით განივითაროს განათლების შესაბამის სფეროებში მართვის კომპეტენციები.

კრედიტებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კვლევას. კვლევის უნარების განვითარების მიზნით 30 კრედიტი ეთმობა სამაგისტრო ნაშრომს, ხოლო 15 კრედიტი - კვლევის იმ კომპეტენციების განვითარებას, რომელიც სამაგისტრო კვლევის ერთ-ერთი საფუძველია დარგობრივ თუ ზოგად კურსებთან ერთად. აღნიშნული 15 კრედიტან 5 კრედიტი ეთმობა საბაზისო კურსს (შესავალი განათლების კვლევაში), 5 კრედიტი პრაქტიკის კვლევას, ხოლო 5 კრედიტი არის არჩევითი კურსებიდან - რაოდენობრივი ან თვისებრივი კვლევის მიმართულებით.

პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება პრაქტიკული უნარების განვითარებას. პრაქტიკული უნარები ვითარდება როგორც ცალკეულ კურსებში, მათ შორის კვლევის კურსების ფარგლებში, ისე სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას.

სტუდენტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა გაიარონ კურსი არჩევითი (თავისუფალი) კურსების ბლოკიდან. ეს არჩევანი შეიძლება გაკეთდეს უნივერსიტეტში არსებული სხვადასხვა პროგრამების კურსებიდან, რომელთაც არ ექნება წინაპირობად პრერეკვიზიტი საგანი.

საერთო ჯამში პროგრამის ფარგლებში კრედიტები ნაწილდება შემდენაირად:

1. **სავალდებულო კურსების კომპონენტი** / ორივე კონცენტრაციისათვის - 25 ECTS კრედიტი;
2. **სავალდებულო კურსების კომპონენტი კონცენტრაციის მიხედვით** - 35 ECTS კრედიტი**:**
   2.1 **სკოლამდელი და ზოგადი განათლების მენეჯმენტის სპეციალიზაციისთვის -** 35 ECTS კრედიტი
   2.2 **პროფესიული და უმაღლესი განათლების მენეჯმენტის სპეციალიზაციისთვის -** 35 ECTS კრედიტი
3. **კვლევითი უნარების კომპონენტი** - 15 ECTS კრედიტი;
4. **სავალდებულო-არჩევითი კურსების კომპონენტი** - 10 ECTS კრედიტი;
5. **თავისუფალი კომპონენტი** - 5 ECTS კრედიტი;
6. **სამაგისტრო ნაშრომი** - 30 ECTS კრედიტი.

განათლების ლიდერობა და მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არა უმეტეს 6 სემესტრისა) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	

განათლების ლიდერობისა და მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობაა:

1. ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
2. შესაბამისი ტიპის საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება;
3. ინგლისური ენის B2 დონის ცოდნის დადასტურება

✓ კავკასიის უნივერსიტეტის კავკასიის განათლების სკოლის სპეციალობასთან რელევანტური მისაღები გამოცდის წარმატებით გავლა მოიცავს ინგლისურის გააზრებისა და წერის კომპონენტებს B2 დონის შესაბამისად;

✓ ინდივიდი შეიძლება განთავისუფლდეს მოცემული პირობისაგან, იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი არის ინგლისური ენის ცოდნის B2 დონის სერტიფიკატი (TOEFL, IELTS, CAE, TOEIC, FCE (Grades A, B), CPE ან სხვა სერტიფიკატი, მათი ვალიდურობის დადასტურების შემთხვევაში) ან არსებობს უნივერსიტეტის რეგულაციით დადგენილი სხვა გარემოება. სხვა შემთხვევაში აპლიკანტმა წარმატებით უნდა გაიაროს ინგლისურ ენაში შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა/გასაუბრება.

✓ აპლიკანტები, რომელთა დიპლომის დანართი ადასტურებს B2 დონეზე ინგლისური ენის ცოდნის კვალიფიკაციას, ან რომლებსაც დამთავრებული აქვთ საბაკალავრო ან სამაგისტრო ინგლისურენოვანი პროგრამა, თავისუფლდებიან სერტიფიკატის წარმოდგენისა და ინგლისურ ენაში შიდასაუნივერსიტეტო გამოცდისაგან.

4. კავკასიის უნივერსიტეტის შიდა გამოცდის წარმატებით ჩაბარება (გასაუბრება)კავკასიის უნივერსიტეტის შიდა გამოცდაზე, გასაუბრებისა და საბუთების საფუძველზე პროგრამის აპლიკანტი ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:
   - ✓ განათლების ლიდერობისა და მართვის კომპეტენციების განვითარების მოტივაცია;
   - ✓ ანალიტიკური აზროვნების, ლოგიკური მსჯელობის და კომუნიკაციის უნარები;
   - ✓ საბაკალავრო, ან სხვა წინა საგანმანათლებლო გამოცდილებაზე რეფლექსიის უნარი;
   - ✓ საგანმანათლებლო სექტორში მიღებული სამუშაო გამოცდილება (უპირატესობა ენიჭება თანაბარი პირობების შემთხვევაში).
5. საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით;
6. პროგრამაზე მობილობის წესით სტუდენტის ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობის და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად.

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

პროგრამის მიზანი	კავკასიის განათლების სკოლის **განათლების ლიდერობისა და მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო** პროგრამის მისიაა განათლების მართვის სპეციალისტების მომზადება მდგრადი განვითარების, შრომის ბაზრის და დარგის თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად, რომლებიც განათლებას და მასზე თანაბარ ხელმისაწვდომობას აღიარებენ, როგორც ნებისმიერი ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას, ხოლო განათლების სისტემას განიხილავენ, როგორც საზოგადოებრივ სიკეთეს, ინდივიდუალური თუ საჯარო კეთილდღეობის და პროგრესის ინსტრუმენტს. პროგრამის მიზანი თანხვედრაშია კავკასიის განათლების სკოლის სტრატეგიულ ხედვასთან, ასევე ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მოთხოვნებთან და გამოწვევებთან. *განათლების ლიდერობისა და მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის მიზანია, მოამზადოს განვითარებასა და შედეგებზე ორიენტირებული, კრიტიკულად, პოზიტიურად და სტრატეგიულად მოაზროვნე, ინოვაციური ხედვებისა და ეთიკური ღირებულებების მქონე წარმატებული ლიდერები/მმართველები, რომლებიც:* 1. არიან ცვლილებების ლიდერები, წარმართავენ ტრანსფორმაციულ პროცესებს და საგანმანათლებლო ორგანიზაციების/ინსტიტუციების განვითარების გეგმებს, საგანმანათლებლო პროგრამებსა და პროექტებს შეიმუშავებენ მდგრადი განვითარების გამოწვევებისა და ადგილობრივი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, პოლიტიკური თუ სამართლებრივი კონტექსტის და საერთაშორისო ტენდენციების გათვალისწინებით, ობიექტურ მტკიცებულებებზე დაყრდნობით; 2. ქმნიან დემოკრატიულ და ინკლუზიურ მართვის სისტემას, ამკვიდრებენ პოზიტიურ ორგანიზაციულ კულტურას და ანგარიშვალდებულების მაღალ სტანდარტებს, ეფექტური კომუნიკაციის გამოყენებით ზრუნავენ ორგანიზაციისა და საზოგადოების მუდმივ განვითარებაზე; 3. ორგანიზაციის დასახული მიზნების, გეგმების, საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროექტების ეფექტიან აღსრულებას უზრუნველყოფენ არსებული რესურსების (ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური, საგანმანათლებლო, ტექნოლოგიური) ოპტიმალური გამოყენების გზით; 4. თანაბრად ზრუნავენ საკუთარ და თანამშრომელთა მუდმივ განვითარებაზე, მოქმედებენ მაღალი აკადემიური და პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით, უზრუნველყოფენ თანამშრომელთა მობილიზება-მოტივირებას, საერთო მიზნების ირგვლივ გაერთიანებას და პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებას, რათა ისინი ხანგრძლივად დარჩნენ პროცესების ერთგულნი სირთულეებისა და დაბრკოლებების მიუხედავად.
პროგრამის სწავლის შედეგები	კავკასიის განათლების სკოლის **განათლების ლიდერობისა და მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო** პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძენს შემდეგ კომპეტენციებს: **შედეგი 1. აღწერს საგანმანათლებლო ორგანიზაციის დემოკრატიული განვითარების/ტრანსფორმაციის მნიშვნელობას, აყალიბებს სტრატეგიულ და სამოქმედო ხედვებს ობიექტურ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, მდგრადი განვითარების გამოწვევებისა და ადგილობრივი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, პოლიტიკური თუ სამართლებრივი კონტექსტის გათვალისწინებით.** **1.1.** სკოლამდელი და ზოგადი განათლების კონცენტრაციისთვის: მსჯელობს ლიდერობისა და მენეჯმენტის თეორიებზე, კონცეფციებზე, მოდელებსა თუ მიდგომებზე, განსაზღვრავს ორგანიზაციის შიდა და გარე გარემოს გამოწვევებს და

	გეგმავს, აფასებს და ახორციელებს სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო ორგანიზაქციების საქმინობას; **1.2.** პროფესიული და უმაღლესი განათლების კონცენტრაციისთვის: მსჯელობს ლიდერობისა და მენეჯმენტის თეორიებზე, კონცეფციებზე, მოდელებსა თუ მიდგომებზე, განსაზღვრავს ორგანიზაციის შიდა და გარე გარემოს გამოწვევებს და გეგმავს, აფასებს და ახორციელებს პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო ორგანიზაციების საქმიანობას. ***<u>შეფასების ინდიკატორები:</u>*** 1.1. აღწერს ლიდერობისა და მენეჯმენტის თეორიებს, კონცეფციებს, მოდელებს თუ მიდგომებს; 1.2. აღწერს ადგილობრივ ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, პოლიტიკურ და სამართლებრივ კონტექსტს, მდგრადი განვითარების, შრომის ბაზრის და დარგის განვითარების გამოწვევებს და საერთაშორისო ტენდენციებს; 1.3. განიხილავს კვლევის მეთოდებს, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპებს და სხვა ობიექტურ მტკიცებულებებთან ერთად, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, დამოუკიდებლად იღებს დასაბუთებულ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს; 1.4. ახდენს ორგანიზაციის შიდა და გარე გარემოში გამოწვევების იდენტიფიცირების, ინოვაციური და შემოქმედებითი მიდგომებით საპასუხო სტრატეგიებისა და ცვლილებების დაგეგმვისა და განხორციელების ღრმა და სისტემური ცოდნის დემონსტრირებას; **შედეგი 2. განსაზღვრავს და ავითარებს ეფექტიან აკადემიურ და საგანმანათლებლო პროგრამებს, პროექტებს და სტრატეგიებს ღირებულებითი განათლების პრინციპების, ორგანიზაციის გრძელვადიანი გეგმების შესაბამისად, აკადემიური კეთილსინდისირებისა და ეთიკური ნორმების დაცვით.** ***<u>შეფასების ინდიკატორები:</u>*** 1.5. აღწერს განათლების სოციალურ მისიას და მიმოიხილავს მასზე თანაბარი ხელმისაწვდომობის და სოციალური სამართლიანობის მნიშვნელობას. 1.6. აანალიზებს და აფასებს აკადემიური და საგანმანათლებლო პროგრამების, პროექტების და სტრატეგიების მნიშვნელობას მდგრადი განვითარების კონტექსტში. 1.7. პრაქტიკაში იყენებს განათლების სფეროს აკადემიურ და საგანმანათლებლო სტანდარტებს, აკადემიური კეთილსინდისირებისა და ეთიკურ ნორმებს, ძირითად მარეგულირებელ დოკუმენტებს. 1.8. აკადემიურ და საგანმანათლებლო სტრატეგიებს, პროგრამებს და პროექტებს მართავს და ავითარებს უწყვეტი განვითარების, რისკების, დანახარჯისა და სარგებლის გათვალისწინებით. 1.9. აფასებს აკადემიური და საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროექტების ხარისხს და ავითარებს მას. **შედეგი 3. მართავს და ავითარებს ადამიანური რესურსების განვითარების პოლიტიკას, ზრუნავს საკუთარ და გუნდის წევრთა/თანამშრომელთა პროფესიულ ზრდაზე, დემოკრატიული ორგანიზაციული კულტურის და ინკლუზიური გარემოს განვითარებაზე;**

	<u>შეფასების ინდიკატორები:</u> 1.10. აღწერს დემოკრატიული და ინკლუზიური მართვის სისტემის გავლენას თანამშრომელთა ეფექტიანობაზე, ცვლილებებისადმი მოქნილობაზე, გუნდის მდგრადობაზე, ორგანიზაციის განვითარებისა და გრძელვადიანი მიზნების მიღწევაზე. 1.11. აყალიბებს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას მაღალი აკადემიური და პროფესიული ეთიკისა და სამართლებრივი რეგულაციების გათვალისწინებით. 1.12. ახდენს ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული პროცესების, შესაბამისი განვითარებისა და ტრანსფორმაციის სტრატეგიების/ცვლილებების ღრმა და სისტემურ კოორდინაციას. 1.13. ქმნის და ავითარებს საკუთარი და გუნდის/თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისა და ინსტრუქციული ლიდერობის წახალისების სისტემას. **შედეგი 4. აყალიბებს ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის სტრატეგიას, ნერგავს თანამედროვე ტექნოლოგიებს და რესურსებს განკარგავს ეფექტიანად.** *<u>შეფასების ინდიკატორები:</u>* 1.14. აკავშირებს თანამედროვე ტექნოლოგიების და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების როლს წარმატებული საგანმანათლებლო საქმიანობასთან. 1.15. აანალიზებს, აფასებს და პრაქტიკაში იყენებს ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის პრინციპებს, მეთოდებს და მარეგულირებელ სამართლებრივ ბაზას. 1.16. გეგმავს, მართავს და ავითარებს ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის სტრატეგიას. 1.17. აფასებს რესურსების ეფექტიანად და პროდუქტიულად მართას და ავითარებს აღნიშნულ სისტემას. **შედეგი 5. შეიმუშავებს და სრულყოფს ეფექტიან საკომუნიკაციო სტრატეგიას, ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფაზე, ამკვიდრებს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალ სტანდარტებს.** *<u>შეფასების ინდიკატორები:</u>* 1.18. გამოხატავს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დანერგვის საჭიროებას ორგანიზაციის/სისტემის განვითარებისთვის. 1.19. მართავს და ავითარებს ორგანიზაციის ეფექტიან საკომუნიკაციო სტრატეგიას. 1.20. ნერგავს და ავითარებს მონიტორინგისა და შეფასების ეფექტიან პროცედურებსა და სისტემას, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალ სტანდარტებს.
დასაქმების სფეროები	კურსდამთავრებულს უფლება ექნება დასაქმდეს საჯარო სექტორში, როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე განათლებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურებში თუ ორგანიზაციებში, ასევე საგანმანათლებლო თუ განათლების სფეროში მოქმედ კერძო, არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციებში სკოლამდელი/ზოგადი და პროფესიული/უმაღლესი განათლების მიმართულებით.
სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა	განათლების მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს სადოქტორო პროგრამაზე კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

საგანმანათლებლო პროგრამით შემოთავაზებული სასწავლო კურსების დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

შეფასების მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად არის მიღწეული სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგები. სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტიანი და უზრუნველყოფს კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. სტუდენტთა შეფასება ეფუძნება შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა, გამჭვირვალობა.

სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასების მიზანია სტუდენტის მიღწევის ზუსტი შეფასება. იგი აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით. განმავითარებელი შეფასება სტუდენტის განვითარებაზეა მიმართული. იგი აწვდის სტუდენტს მიღწევებთან დაკავშირებით უკუკავშირს.

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. შეფასების სისტემა უშვებს:
ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
ა.ა) (A)ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალურიშეფასების 71-80 ქულა;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;
ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან.

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთათვისაც შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) საბოლოო შეფასებაში განსაზღვრულია ხვედრითი წილი და დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. კერძოდ, მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების - 30 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე კომპონენტში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედურ შეფასებებში განსაზღვრულია შეფასების მეთოდები, რომლებიც ჯამურად შეადგენენ 70 ქულას. შეფასების თითოეული მეთოდისთვის, შეფასება ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებულ, ზუსტ, მკაფიო კრიტერიუმებს და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ შეფასების სქემებს/რუბრიკებს. სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 59%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 60%.

სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს დამატებით გამოცდაზე, თუ იგი ვერ გადალახავს დასკვნითი გამოცდის მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს აკადემიური კალენდრით დადგენილ პერიოდში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.

საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის ან შეფასების რომელიმე კომპონენტში (შუალედური/დასკვნითი) მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ვერ გადალახვის შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება F-0 ქულა.

სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერითი (ტესტი, ღია კითხვები, კვლევითი ესსე და სხვა) გამოკითხვა. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი

ასახული იქნება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. სასწავლო პროცესის დაწყების წინ სილაბუსი იტვირთება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში.

სამაგისტრო ნაშრომის შემუშავება, შეფასება და დაცვა ხორციელდება კავკასიის განათლების სკოლის სამაგისტრო დებულების მოთხოვნების შესაბამისად.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოყენებულ იქნება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: სოციალური სწავლების (კოოპერატიული და თანამშრომლობითი) მეთოდი; კეთებით სწავლების მეთოდები, დიდაქტიკური, სოკრატული, ლექცია, სემინარი, დისკუსია, დებატები, სიტუაციის მოდელირება, როლური თამაშები/სიმულაციები, კერძო შემთხვევის განხილვა (case studies), პროექტი (ინდივიდუალური და ჯგუფური), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); პრეზენტაციები, ჯგუფური მუშაობა, სუპერვიზია, რეფლექსია და სხვ.

კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახული იქნება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

პროგრამაში გათვალისწინებული კომპონენტების ფარგლებში შესაძლოა იყოს გამოყენებული ზემოთ ჩამოთვლილი ერთი ან რამდენიმე მეთოდი ან ნებისმიერი სხვა მეთოდი კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე, რაც ასახულია შესაბამის სილაბუსში.

პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს:

- 1 პროფესორი
- 6 აფილირებული ასოცირებული პროფესორი;
- 2 ასოცირებული პროფესორი;
- 7 აფილირებული ასისტენტ-პროფესორი;
- 8 მოწვეული ლექტორი.

პროგრამის სხვა რესურსები

კავკასიის განათლების სკოლას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან, აგრეთვე სამთავრობო, არასამთავრობო და კერძო ორგანიზაციებთან.

პარტნიორი უმაღლესი სასწავლებლები:

- ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო);
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო);
- ვარშავის უნივერსიტეტი „Collegium Civitas" (პოლონეთი)
- ადამ მიცკევიჩის პოზნანის უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- ტალინის ტექნოლოგიების უნივერსიტეტი (ესტონეთი)
- კიბის საერთაშორისო უნივერსიტეტი (იაპონია)

საჯარო და კერძო სკოლები:

- სსიპ ქ. თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლა
- სსიპ ქ. თბილისის #29 საჯარო სკოლა
- სსიპ ქ. თბილისის #36 საჯარო სკოლა
- სსიპ ქ. თბილისის #52 საჯარო სკოლა
- სსიპ ქ. თბილისის №63 საჯარო სკოლა
- სსიპ ქ. თბილისის #64 საჯარო სკოლა
- სსიპ ქ. თბილისის #89 საჯარო სკოლა
- სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ თბილისის №112 საჯარო სკოლა
- სსიპ ქ. თბილისის #122 საჯარო სკოლა

- სსიპ ქ. თბილისის #123 საჯარო სკოლა
- სსიპ ქ. თბილისის #133 საჯარო სკოლა
- სსიპ ქ. თბილისის #136 საჯარო სკოლა
- სსიპ ქ. თბილისის ალექსანდრე ცინცაძის სახელობის №150 საჯარო სკოლა
- სსიპ ქ. თბილისის #155 საჯარო სკოლა
- სსიპ ქ. თბილისის №173 საჯარო სკოლა
- სსიპ ქ. თბილისის №175 საჯარო სკოლა
- სსიპ ქ. თბილისის #182 საჯარო სკოლა
- სსიპ თბილისის 212-ე საჯარო სკოლა
- სსიპ აფხაზეთის #2 საჯარო სკოლა
- შპს „IB მთიები“
- რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელი - პროგრამა „ა-Z“
- შ.პ.ს. თბილისის ზოგად-ბლო სკ.-ლიც. „მწიგნობართუხუცესი“
- შპს „ახალი ლიცეუმი“
- შპს „ნიუტონის თავისუფალი სკოლა“
- შპს „არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა მერმისი“
- ქართულ-ებრაული სკოლა "ორ ავნერი"
- შპს „თბილისის მწვანე სკოლა“
- სკოლა ენ-ჯი (შპს „ახალი ქართული გიმნაზია“)
- სპს ზოგადსაგანმანათლებლო კერძო სკოლა-ლიცეუმი „ნუნუ ბეიტრიშვილი პრომეთე“
- სსიპ - ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთის №1 საჯარო სკოლა;
- სსიპ ქალაქ წალკის N1 საჯარო სკოლა
- სსიპ ქალაქ მარნეულის N2 საჯარო სკოლა
- სსიპ ილია ვეკუას სახელობის აფხაზეთის #11 საჯარო სკოლა
- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაზისუბნის საჯარო სკოლა
- სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვაბღის საჯარო სკოლა
- სსიპ-გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ შაშიანის საჯარო სკოლა

პროფესიული სასწავლებლები:

- კოლეჯი „სპექტრი“
- სსიპ - კოლეჯი „მოდუსი“
- ა(ა)იპ კოლეჯი "იკაროსი"
- სსიპ - კოლეჯი „მერმისი“
- ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა
- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA

სკოლამდელი დაწესებულებები:

- ა.(ა.)ი.პ. ქალაქ თბილისის მე-6 ბაგა-ბაღი;
- ა.(ა.)ი.პ. ქალაქ თბილისის 37-ე ბაგა-ბაღი;
- ა.(ა.)ი.პ. ქალაქ თბილისის მე-16 ბაგა-ბაღი;
- ა.(ა.)ი.პ. ქალაქ თბილისის მე-100 ბაგა-ბაღი;
- ა.(ა.)ი.პ. ქალაქ თბილისის 25-ე ბაგა-ბაღი;
- ა.(ა.)ი.პ. ქალაქ თბილისის 172-ე ბაგა-ბაღი;
- ა.(ა.)ი.პ. ქალაქ თბილისის 142-ე ბაგა-ბაღი;
- ა.(ა.)ი.პ. ქალაქ თბილისის 63-ე ბაგა-ბაღი;
- ა.(ა.)ი.პ. ქალაქ თბილისის მე-5 ბაგა-ბაღი;
- ა.(ა.)ი.პ. ქალაქ თბილისის 36-ე ბაგა-ბაღი.

კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციები:

- ა.ი.პ ინფორმაციული საზოგადოების განვითარების ინსტიტუტი;
- მწერალთა სახლი;
- ა(ა)იპ იკომის საქართველოს ეროვნული კომიტეტი;
- ჯუნიორ ეჩივმენტი;
- სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი;

- განათლებისა და კვლევების ცენტრი;
- ა(ა)იპკავშირი ,, მათემატიკის მასწავლებელთა ასოციაცია"
- ა(ა)იპ სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი
- შპს „ეიჩარ პროფესიონალთა გილდია"

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საკუთრებაში მყოფი მატერიალური და ტექნიკური რესურსი. კერძოდ, სტუდენტების და აკადემიური პერსონალისთვის ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები და ინტერნეტი. აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკითა (მულტიმედია პროექტორი, კომპიუტერი, აუდიო-ვიდეო ტექნიკა და სხვა) და სასწავლო ინვენტარით (თეთრი დაფა, მერხი, სკამი).

უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული წიგნადი და ელეტრონული ფონდი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალიწინებული შედეგის მიღწევას. ბიბლიოთეკის ელექტრონული და ნაბეჭდი რესურსით სარგებლობა შეუძლია უნივერსიტეტის ნებისმიერ სტუდენტს და აკადემიურ პერსონალს.

სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაცის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის (სულ23651 ერთეული ბეჭდური და 7986 ერთეული ელექტრონული წიგნი და სხვა სახის გამოცემა). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური 1 ასლგადამღები აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის 3 თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით:

- EBSCO HOST
- Legal Source
- International Security & Counter-Terrorism Reference Center
- MEDLINE with Full Text
- Emerald Accounting, Finance and Economics eJournal
- ScienceDirect
- Scopus
- Sci-val Funding (Funding Institutional)
- HeinOnline
- Taylor and Francis

სამეცნიერო ჟურნალები:

- Cambridge Journals Online
- e-Duke Journals Scholarly Collection
- Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books
- European Respiratory Journal
- IMechE Journals
- Mathematical Sciences Publishers Journals
- OpenEdition Journals
- Royal Society Journals Collection
- SAGE Journals
- The Company of Biologist's Journals

მატერიალური რესურსები:

კავკასიის უნივერსიტეტი მდებარეობს თბილისში, პაატა საკაძის N1-ში. შენობის ჯამური ფართი შეადგენს 11179.11 კვ.მ.-ს, საიდანაც 5248 კვ.მ. არის სასწავლო ფართი. აღნიშნული შენობის სარემონტო სამუშაოებსა და ახალი ინვენტარით აღჭურვაში, ასევე, ეზოს გამწვანებასა და მოწყობაში განხორციელდა 12 მლნ ლარის ინვესტიცია. უნივერსიტეტის შენობაში გამოყოფილია შემდეგი სავალდებულო ფართები: 62 აუდიტორია, 170 კვ.მ.-მდე ფოიე, საკონფერენციო დარბაზი, სარეკრეაციო სივრცეები, ადმინისტრაციული სივრცეები, და სათავსოები, სივრცე ჯგუფური მუშაობისთვის, სანიტარული კვანძები, ბიბლიოთეკა (265 კვ.მ.), ლაბორატორიები, არქივი, 2 კაფეტერია (380 კვ.მ.). აღნიშნული უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურ წარმართვას. კავკასიის ბიზნესის სკოლას დამატებით აქვს სტარტაპ აქსელერატორისთვის გამოყოფილი ოთახები, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე აღჭურვილობებით, როგორიცაა: VR ტექნოლოგია, სამონტაჟო მოწყობილობები, „Smart board“ და სხვა.

უნივერსიტეტს აქვს ელექტროენერგიის მიწოდების ეფექტური სისტემა, შენონაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წლით და სათანადოდ მოწესრიგებულია. სანიტარულ კვანძებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და უზრუნველყოფილია მუდმივი განათებითა და ვენტილაციით. კავკასიის უნივერსტეტის ტერიტორია ადაპტირებულია შშმ პირებისთვის (პანდუსები, ლიფტები და სხვა). ყველა სასწავლო ოთახს აქვს როგორც ბუნებრივი, ასევე, ხელოვნური განათების შესაძლებლობა. დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა, უნივერსიტეტის ტერიტორიას იცავს დაცვის სამსახური “მაგისტრი”, შიდა და გარე პერიმეტრზე უსაფრთხოების მიზნით დამონტაჟებულია ვიდეოკამერები. შემუშავებულია ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოებისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - არსებობს აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ლაბორატორია და კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. კომპიუტერები უზრუნველყოფილია შესაბამის პროგრამული ინსტრუმენტებით/აპლიკაციებით. აუდიტორიები და კომპიუტერული კლასები უზრუნველყოფილია ლოკალური ქსელით და ინტერნეტით.

სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათებო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაცის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

კავკასიის უნივერსიტეტი სადღეისოდ აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული საშუალებებით, ასლგადამღები აპარატურით (რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილის განახლება მოხდა 2018 წელს). ამჟამად უნივერსიტეტში A, B და C სართულებზე გაშვებულია რვა კომპიუტერული კლასი. ასეთი კლასები პერსონალური კომპიუტერით და მულტიმედია პროექტორებით არის დაკომპელქტებული. ასეთი პროექტორებით და კომპიუტერებით აღჭურვილია ყველა აუდიტორია და ბიბლიოთეკა. ადმინისტრაცია და პრაქტიკულად ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილია კომპიუტერებით და ინტერნეტთან წვდომით. უნივერსიტეტის საკომპიუტერო პარკი 380 ერთეულზე მეტს შეადგენს. ამას ემატება ორგტექნიკა პრინტერების და სკანერების სახით. 20 ე.წ. „Smart board”, სწრაფქმედი (მაღალი წარმადობის) „კიოსერას“ ფირმის ასლგადამღები აპარატები, აგრეთვე ფერადი ასლგადამღები დანადგარი „HP MFD” - ტიპის. უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია WiFi, ასევე უზრუნველყოფილია სატელეფონო კავშირი IP ტელეფონებით (რისთვისაც შეძენილია 130-ზე მეტი შესაბამისი ტელეფონი). უნივერსიტეტის სასერვეროში მოქმედებს ხუთი ერთეული თანამედროვე სერვერი, ხოლო მის ტერიტორიაზე დამონტაჟებულია შესაბამისი ქსელური აპარატურა („Cisco”-ს და ”Aruba/HP”-ის სვიჩებით, Fortinet-ის NG Firewall-ით, wireless controller და access point-ებით, და ა.შ.), სულ 100-ზე მეტი ამგვარი მოწყობილობით. უნივერსიტეტი ჩართულია გარე ქსელში და აქვს ინტერნეტთან წვდომა გლობალური 400 მბ/წ ხოლო ლოკალური კავშირი 1 გბ/წ. ამასთან ერთად , საერეზერვო ინტერნეტ კავშირი 30 მბ/წ.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

აღნიშნული რესურსი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. ყველა დაინტერესებული პირი ინფორმირებულია ხსენებული რესურსის გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესის შესახებ.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს სტუდენტებისგან მისაღებ შემოსავალს და სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის საჭირო ყველა ხარჯს. ფინანსური გათვლები ეყრდნობა პროგრამის მიხედვით აღებულ შემდეგ მონაცემებს:

- სწავლებისთვის საჭირო საკონტაქტო საათებს,
- სასწავლო კურსების რაოდენობას,
- სალექციო საათების ანაზღაურებას,
- სწავლების პროცესში სტუდენტის მატერიალურ მხარდაჭერას,
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხარჯს,
- პროგრამის განვითარება/აკრედიტაცია/ინტერნაციონალიზაციის ხარჯს,
- პროგრამის მანძილზე დასაშვებ გაუთვალისწინებელი ხარჯს.

ასევე, პროგრამის ბიუჯეტში თანხობრივად გათვალისწინებულია „უნივერსიტეტის სარეზერვო „ფონდი“, რომელიც ემსახურება სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის არსებობის შემთხვევაში, პროგრამის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის ყველა ხარჯის დაფარვას. პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში ხორციელდება ცვლილების შესაბამისად პროგრამის ბიუჯეტის კორექტირება.

პროგრამის ბიუჯეტი მტკიცდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის მიერ, რაც დასტურდება ბრძანებით, რომელსაც დანართად ერთვის პროგრამის ბიუჯეტის კალკულაცია.

განათლების ლიდერობის და მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა

(მოდულების, საგნების, შესაბამისი კრედიტების მითითებით)

N	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\მოდული	სწავლების წელი				ECTS კრედიტი
				I		II		
				ECTS კრედიტი				
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
სავალდებულო კურსების კომპონენტი (25 ECTS)				15	5	5	0	25
1	EMAN5113	არ აქვს	განათლების მენეჯმენტი და ინკლუზიური ლიდერობა	5				5
2	MEDU5113	არ აქვს	თანამედროვე პედაგოგიკა და განათლების საკვანძო კომპეტენციები	5				5
3	CONM5113	არ აქვს	კონფლიქტის მართვა და არაძალადობრივი გარემოს ფორმირება	5				5
4	PROM5213	არ აქვს	საგანმანათლებლო პროექტების დაგეგმვა და მართვა		5			5
5	TLID6113	EMAN5113	ტრანსფორმაციული ლიდერობა და ცვლილებების მენეჯმენტი			5		
სავალდებულო კურსების კომპონენტი - სკოლამდელი და ზოგადი განათლების მენეჯმენტის კონცენტრაციისათვის (35 ECTS)				10	15	10	0	35
6	GEDU51131	არ აქვს	განათლების კულტურული საფუძველები და მრავალფეროვნების მართვა სკოლაში	5				5
7	GEDU51132	არ აქვს	ორგანიზაციული ანალიზი და სტრატეგიული დაგეგმვა (სკოლამდელი და ზოგადი განათლება)	5				5
8	GEDU52131	არ აქვს	კურიკულუმის მართვა (სკოლამდელი და ზოგადი განათლება)		5			5
9	GEDU52132	არ აქვს	ადამიანური რესურსების მართვა (სკოლამდელი და ზოგადი განათლება)		5			5
10	GEDU52133	არ აქვს	ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვა (სკოლამდელი და ზოგადი განათლება)		5			5
11	GEDU61131	არ აქვს	ხარისხის მართვა-ინოვაციები და განვითარება (სკოლამდელი და ზოგადი განათლება)			5		5
12	GEDU61132	არ აქვს	კომუნიკაცია და ანგარიშვალდებულება (სკოლამდელი და ზოგადი განათლება)			5		5
სავალდებულო კურსების კომპონენტი - პროფესიული და უმაღლესი განათლების მენეჯმენტის კონცენტრაციისათვის (35 ECTS)				10	15	10	0	35
13	HEDU51131	არ აქვს	უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია და საუნივერსიტეტო მრავალფეროვნების მართვა	5				5
14	HEDU51132	არ აქვს	ორგანიზაციული ანალიზი და სტრატეგიული დაგეგმვა (პროფესიული და უმაღლესი განათლება)	5				5
15	HEDU52131	არ აქვს	აკადემიური და საგანმანათლებლო პროგრამების მართვა (პროფესიული და უმაღლესი განათლება)		5			5
16	HEDU52132	არ აქვს	ადამიანური რესურსების მართვა (პროფესიული და უმაღლესი განათლება)		5			5

17	HEDU52133	არ აქვს	ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვა (პროფესიული და უმაღლესი განათლება)		5			**5**
18	HEDU61131	არ აქვს	ხარისხის მართვა (პროფესიული და უმაღლესი განათლება)			5		**5**
19	HEDU61132	არ აქვს	მარკეტინგი და კომუნიკაცია (პროფესიული და უმაღლესი განათლება)			5		**5**
კვლევითი უნარების კომპონენტი (15 ECTS)				**5**	**5**	**5**	**0**	**15**
20	RESE5113	არ აქვს	შესავალი განათლების კვლევაში	5				**5**
21	RESE5213	RESE5113	პრაქტიკის კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია		5			**5**
22	RESE61131	RESE5113	თვისებრივი კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია			5		**5**
23	RESE61132	RESE5113	რაოდენობრივი კვლევა და სტატისტიკური ანალიზი					
სავალდებულო-არჩევითი კურსების კომპონენტი (10 ECTS) (M-A)				**0**	**5**	**5**	**0**	**10**
24	OELE52131	არ აქვს	განათლება და სოციალური პოლიტიკა		5			**5**
25	OELE52132	არ აქვს	განათლების ეკონომიკა					
26	OELE61131	არ აქვს	ადამიანის უფლებები და ინკლუზიური განათლება - მართვის გამოწვევები			5		**5**
27	OELE61132	არ აქვს	განათლება და შრომის ბაზარი					
თავისუფალი კომპონენტი (5 ECTS)						**5**		**5**
28	FREE 0001	არ აქვს	თავისუფალი კრედიტრები			5		
სამაგისტრო ნაშრომი (30 ECTS)							**30**	**30**
29	THES6213	90 ECTS	სამაგისტრო ნაშრომი				30	**30**
ECTS კრედიტები			**სემესტრში**	30	**30**	**30**	**30**	**120**
			წელიწადში	60		60		
საგნების\მოდულების რაოდენობა წელიწადში								